**"ხელშეკრულება №38**
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
**(გამარტივებული შესყიდვა)**

ქ. თბილისი იანვარი 2024 წ.

სსიპ თვითმმართველი ერთეული ბაღდათის მუნიციპალიტეტი, მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის დავით სილაგაძის სახით (ქალაქ ბაღდათი, წერეთლის #9) (შემდგომში"შემსყიდველი") და მეორე **მხრივ, საინფორმაციო სააგენტო „იქსნიუსი" (ს/ნ 402164377**) (შემდგომში-მიმწოდებელი) წარმოდგენილი **დირექტორის მირიან ყარაულაშვილის** სახით, ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის „ა" პუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**მუხლი 1. ტერმინთა განმარტებები**

1.1 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება " (შემდგომ - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, ყველა თანდართული დოკუმენტით.
1.2 „ხელშეკრულების ჯამური ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად და ზედმიწევნით შესრულებისთვის.
1.3 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელზედაც გაფორმებულია ხელშეკრულება.
1.4 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.7 „შესყიდვის ობიექტი" - - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

**მუხლი 2. ხელშეკრულების ობიექტი და საგანი**

2.1 ხელშეკრულების ობიექტი და საგანია შემკვეთის მიერ ჩასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვა; შემკვეთის საქმიანობის და მის მიერ ჩატარებული ღონისძიებების შესახებ ანონსების, ინფორმაციის მომზადება, გაშუქება და სხვა მედია-საშუალებებისთვის მიწოდება; ვიდეომასალის მომზადება, განთავსება ვებგვერდზე www.xnews.ge და გავრცელება. შემკვეთისთვის მნიშვნელოვანი და საინტერესო თემების შესახებ ინტერვიუების და კომენტარების მომზადება და გავრცელება. შემკვეთის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების ფოტო უზრუნველყოფა. სააგენტოს პრეს-კლუბში ბრიფინგების და პრესკონფერენციების ჩატარება (საჭიროებისამებრ) და მედია უზრუნველყოფა. (შემდგომში მომსახურება)(CPV92400000).

2.2 ამ მუხლის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა ხორციელდება შემსყიდველის მიერ მოთხოვნილ ვადებში.

**მუხლი 3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება**

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში და შეადგენს 4400 (ოთხი ათას ოთხასი ლარი და ნული თეთრი) ლარს, რომელიც მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.

3.2 ერთი თვის მომსახურების ღირებულება შეადგენს 400.00 (ოთხასი და ნული თეთრი) ლარს.

3.3 დაფინანსების წყარო: 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

**მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი**

4.1 მიმწოდებელი შემსყიდველს უწევს მომსახურებას 2024 წლის 1 თებერვლიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით და მოქმედებს 2025 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

**მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიღება -ჩაბარების წესი**

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურების გაწევისას თან დაურთოს მომსახურების თანმხლები დოკუმენტაცია.

5.2 მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ყოველი თვის დასაწყისში არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა ფორმდება წინა თვის გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც დასტურდება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულება.

5.3 მომსახურების შესრულების დღედ მიიჩნევა მიღება - ჩაბარების აქტზე მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის დღე.

**მუხლი 6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა**

6.1 მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით საქართველოს ეროვნულ ვალუტაში მხარეების მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

6.2 ანგარიშსწორება ხორციელდება მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება - ჩაბარების აქტის საფუძველზე.

6.3 შემსყიდველი ვალდებულია მომსახურების გაწევის დღიდან არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.

## მუხლი 7. მხარეთა უფლება -მოვალეობები

**7.1 მიმწოდებელი ვალდებულია:**

7.1.1 განახორციელოს ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული მომსახურება ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში და უზრუნველყოს მომსახურების მაღალი ხარისხი (მათ შორის უფლებრივად უნაკლო, არსებობის შემთხვევაში დეფექტური აქტებისა და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისი მომსახურება), რომელიც აკმაყოფილებს არსებულ სტანდარტებს.

7.1.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების უხარისხოდ შესრულების შემთხვევაში საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს ნაკლი, მისი გამოვლენის დღიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხორციელდება ხარვეზის გამოსწორება, მიმწოდებელი ვალდებულია აუნაზღაუროს შემსყიდველს ფაქტობრივად მიყენებული ზიანი.

7.1.3 გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლო მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.1.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.1.5 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების დათქმულ ვადაში ანაზღაურება.

**7.2 შემსყიდველი ვალდებულია:**

7.2.1 მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში აუნაზღაუროს ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.

7.2.2 მიმწოდებლისგან მიიღოს მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

7.2.3 გადაუხადოს მიმწოდებელს პირგასამტეხო მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

**7.3 შემსყიდველი უფლებამოსილია:**

7.3.1 მიმწოდებლისგან მოითხოვოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და ადგილზე გაწევა.

7.4 თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.5 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ

დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

7.6 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით. შეთანხმების შემთხვევაში გადავადებულ პერიოდზე მხარეს არ დაეკისრება პირგასამტეხლო.

7.7 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.8 არც ართ მხარეს არა აქვს უფლება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირებს მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

## მუხლი 8. სუბკონტრაქტორები

8.1 მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულების ფარგლებში დასადები ყველა სუბკონტრაქტი უნდა გაფორმდეს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ სუბკონტრაქტის დადების ან სუბკონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

8.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

8.4 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

## მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა -

## პირგასამტეხლოს ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები

9.1 ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება პირგასამტეხლოს ფორმა - საჯარიმო სანქციები.

9.2 მომწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მომწოდებელს წინასწარი შეტყობინების გარეშე დაეკისრება შემსყიდველისათვის შემდეგი ოდენობის პირგასამტეხლოს გადახდა: მომსახურების გაუწევლობისათვის (მათ შორის ხელშეკრულების განსაზღვრულ ვადაში, უხარისხოდ, არასრული მოცულობით, საჭირო დოკუმენტების გარეშე) ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0.1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ 9.2 პუნქტით განსაზღვრულ პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მომწოდებელს შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება და არ აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული ვალდებულების ღირებულება.

9.4 მიმწოდებლის მიერ ნაკისრ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, რამაც გამოიწვია ხელშეკრულების შეწყვეტა, მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის დენობით.

9.5 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების შეწყვეტა მოხდება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევის საფუძვლით, მომწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მიერ წერილობითი მიმართვიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში შემსყიდველს დაუბრუნოს შესყიდვის ობიექტის გადახდილი საფასური.

9.6 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.

9.7 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს ჯარიმა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

9.8 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## მუხლი 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება მორიგებით.

10.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ საქართველოს საერთო სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## მუხლი 11. ფორს - მაჟორული სიტუაციები

11.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.

11.2 ფორს - მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელსაც აქვს წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი და არ არის დაკავშირებული შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ფორს - მაჟორი შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური უბედურებებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით.

11.3 თუ ერთ-ერთი მხარე ფორს - მაჟორული მდგომარეობის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს სამი სამუშაო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან და იგი ვერ შეძლებს გამოიყენოს ასეთი გარემოებები, როგორც პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძვლები.

11.4 შეტყობინებაში მითითებული ფორს - მაჟორის ფაქტი უნდა დადასტურდეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

11.5 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს - მაჟორული მდგომარეობის მოქმედების დასრულებისთანავე.

## მუხლი 12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

12.1 შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის მომსახურების ხარისხის ინსპექტირება.

12.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

## მუხლი 13. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისთვის“, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების დადგომის დროს ხელშეკრულების საერთო ღირებულების ზრდა შესაძლებელია არაუმეტეს ხელშეკრულების თავდაპირველი ღირებულების 10%-ის ფარგლებში.

13.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.5 ორივე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას. აგრეთვე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეები წერილობით აცნობებენ ერთმანეთს.

13.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13.7 მიწოდების ვადის 10 (ათი) დღეზე მეტი დროით დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შემსყიდველისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

**მუხლი 14. სხვა პირობები**

14.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელშეკრულების დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

14.2 ხელშეკრულების მე 13-ე მუხლი ძალაშია მხარეთა მიერ ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის მიუხედავად.

14.3 შემსყიდველის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი და ასევე კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ი ადასტურებენ, რომ მიმწოდებლის მიმართ სრულად აკმაყოფილებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებს პირობებსა და წესებს და მათი მონაწილეობა აღნიშნულ შესყიდვაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

**მხარეთა რეკვიზიტები**

| | |
|---|---|
| შემსყიდველი:<br><br>სსიპ “თვითმართველი ერთეული ბაღდათის მუნიციპალიტეტი”<br>ქ. ბაღდათი, წერეთლის ქ.№9<br>ს/კოდი 225064471<br>კოდი TTREEGE22<br>ერთიანი სახაზინო ანგარიში<br>ანგ.200122900<br><br>**მერის პირველი მოადგილე:**<br><br>**/დავით სილაგაძე/**<br><br>Davit Silagadze Digitally signed by Davit Silagadze Date: 2024.01.25 15:26:51 +04'00' | მიმწოდებელი:<br>**საინფორმაციო სააგენტო „იქს-ნიუსი“**<br>იურიდიული მისამართი:<br>საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, დიღმის მასივი, IV კვარტ., კორპ. 18, ბინა 33.<br>ტელ.: 599-738-222<br>595-957-372<br>**ს/ნ 402164377**<br>საბანკო რეკვიზიტები:<br>სს „ბაზისბანკი“<br>ბანკის კოდი - CBASGE22 ,<br>ა/ ა : GE64 BS00 0000 0083 4369 56<br>დირექტორი:<br>**მირიან ყარაულაშვილი**<br><br>Mirian Karaulashvili Digitally signed by Mirian Karaulashvili Date: 2024.01.25 |